ფასი 3 მან.

მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა

ახალი ნაკადი

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

კვირა 14 მარტს

№ 1 1920 წ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქ. № 139, ფული უნდა გამოიგზავნოს: როსთაველის პროსპექტი სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხ., **პლ. ლეჟავას.**

წელ. 2. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით წელ. 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო! ამხანაგებო! ამხანაგებო!

გახსოვდეთ, რომ **„ახალი ნაკადი“** თქვენი ინტერესების დამცველია. გაიღეთ წვლილი გაზეთის ფონდისათვის და გამოგზავნეთ წერილები.

ამხანაგებო!

საქ. რევოლ. სინდ. მაშვ. კავშ. მთავარმა გამგეობამ განიძრახა გააძლიეროს იდეიური მუშაობა და უახლოეს დროიდგან განაძლიეროს გაზ „ახალი ნაკადის“ გამოცემა მუშაობის საერთანადო მიმართვისთვის აუცილებელიმ ვიცოდეთ, თუ რა მდგომარეობაშია თვითეული ჩვენი ორგანიზაცია. ამიტომ გთხოვთ საჩქაროთ გვიპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:

1. რამდენი წევრისაგან შესდგება ორგანიზაცია.
2. სწარმოებს თუარა მუშაობა.
3. იხდიან თუარა წევრები გადასახადს და რამდენს.
4. ვინ არის ორგანიზაციი თავჯდომარე და მდივანი (მისი დაწვრილებითი მისამართი)
5. რა ესაჭიროება ორგანიზაციას და რით უნდა დაეხმაროს მთავარი გამგეობა.
6 შეუძლია თუ არა ორგანიზაციას დაეხმაროს ნივთიერათ მთავარ გამეობას გაზეთის გამოცემაში
7. შეუძლია თუარა ორგანიზაცია მუჩინოს გაზეთს მუდმივი კორესპოდენტი(თუ შეუძლია, მისი გვარი სახელი და მისამართი უნდა ეცნობოს რედაქციას).
8 რამდენი გაზეთი შეუძლია გაუსაღოს ორგანიზაციას.

ეს ცნობებიუნდა გამოფზავნოს შემდეგი მისასართით: ელისაბეთის ქუჩა №139 **ახალი „ნაკადის რედაქცია.**

მთავარი გამეობის მდივანი ი. ბაქრაძე

ტფილისი, მარტის 14.

რევოლიუციის სამი წლის თავი.

სამი წელი შესრულდა ძას შემდეგ, რაც დიდი რევოლიუციის პირველმა სხივმა აანათა უზარმაზარი რუსეთის მონობით შებოჭილი მიდამოები. შეინძრა და შეტორტმანდა განაწამები მუშათა კლასი და ქვეყანას აუწყა წმინდა ძახილი თავისუფლებისა და ერთობისა. საერთო სიხარულმა მოიცვა თითქოს ყველას არსება, მაგრამ ყველა თავისებურად ზეიმობდა ამ დღესასწაულს. კაცობრიობისათვის დღემდე უხილავი და განუცდელი ომის წიაღში უხდა ამ დიდს მოძრაობას აღმოცენება და ეს გარემოება თავისეაურ ელფერს აძლევდა მას: ბევრი ჰფიქრობდა თვითმყრობელი მეფის მოშორებით იმ იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას, რომელიც ბოსფორსა და დარდანელთან იყო დაკავშირებული, ბევრი წმინდა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოს ესწრაფვოდა, სადაც ახალი პლუტოკრატია სავსებით მოიშორებდა ძველს მიწის არისტოკრატიას და შეჰქმნიდა თვის ურყევ ბატონობას; იყვენ ისეთებიც, რომელთაც მუშათა კლასის მესვეურობა იდვეს თავს და აღთქმულ ქვეყნისკენ მოუწოდებდენ. ხოლო ამ მოწოდებაში ნათლად გამოსჩანდა პოლიტიკურ-სოციალისტურ პარტიათა ურთი-ერთ შორის შეურიგებლობა; თითოეული თვის საკუთარ რეცეპტს ურჩევდა შრომის შვილთ და უხმობდა მისთვის შექმნა მდგომარეობა პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა, რათა მას (პარტიას) კანონ-მდებლობის გზით გაენაღდებია გაცემული თამასუქი.

ამ მოვლენის ზედგავლენით ერთი მთლიანი ფრონტი რევოლიუციური მუშათა კლასისა დაირღვა; დაქუცმაცდა; ერთი ჯგუფი მეორეს წინააღმდეგ დაირაზმა; მათ შორის მტრობა და სიძულვილი ჩამოვარდა. რასაც ვერ შესძლებდა მუშათა კლასის მტერი—პლუტოკრატია, ის შესძლო შინაურმა ქიშპობამ და გაუტანლობამ. ამას თან მოჰყვა რუსეთში უდიდესი არევ-დარევა, დიდი ჭიდილი, რომელმაც შეარყია რუსეთის ეკონომიური კეთილდღეობა და შექმნა საშინელი სინამდვილე საერთო სიღარიბისა და შიმშილისა. მიუხედავათ ბოლშევიკების დიდი ცდისა და ხშირად უანგარო თავ-განწირვისა, რევოლიუციის საწინააღმდეგოდ დარაზმული ევროპის ბურჟუაზიული სახელმწიფოები ახერხებენ რევოლიუციის მსვლელობის შეფერხებას, მის გართულებას, თუ გნებავთ მის განადგურებას. სადაც ხმალი არა სჭრის, იქ გამოქნილი დიპლომატია სხვა ხერხს მიმართავს. ჩვენ მისაღებად არ მიგვაჩნია ის გზა და მეთოდი ბრძოლისა, რომელსაც ბოლშევიკები დაადგნენ, მაგრამ ორ მოპირდაპირე ძალის—ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურისა და რევოლიუციონურის შორის ბრძოლის დროს მთელის არსებით, რასაკვირველია, უკანასკნელს ვემხრობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელი დიდი მოძრაობა მუშათა კლასს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოაშორებს პოლიტიკურ-სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელებას და დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობას გააძლიერებს. ეს მოძრაობა, ამის ნიშნები უკვე სჩანს, რევოლიუციური სინდიკალიზმის მოძღვრების თანახმად წაემართება. დიდი წამების შემდეგ მუშათა კლასი უფრო ნათლად და გარკვეულად მიაგნებს თვის ვარსკვლავს რომელიც უცვლელად გაუნათებს გზას ბეთლემისაკენ, სადაც უნდა იშვას სრულად ახალი წესწყობილება. საბერძნეთის პოეტი ერთ-ერთ პოემაში მკითხველებს ეუბნევა: **თქვენ იმიტომ გამოსცადეთ ამდენი ტანჯვა რომ ადამიანთ შორის სიმღერა წარმოშობილიყო. საერთოშორისო მუშათა კლასი იმიტომ ეწამა თვისი მაღალი იდეალისათვის, რომ ქვეყანად მართლაც და დაემკვიდროს—სოციალიზმი...**

დიდმა რევოლიუციამ წარმოშა საქართველოს თავისუფლება, რომელსაც ჩვენი მუშათა კლასისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ თავისუფალ საქართველოში მაშვრალთა სასიცოცხლო ინტერესები მარადის დაუშლელად უნდა იქნას, გადამბული საერთაშორისო პროლეტარიატთან...

გაუმარჯოს დიდს საერთაშორისო რევოლიუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო შრომის კონფედერციას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

იძულებითი დუმილის შემდეგ.

უკვე რამდენიმე თვეა, რაც ჩვენი ორგანო შეჩერებული იყო და საშუალება არ მქონდა ამხანაგებთან საუბრისა... ყოველივე სახსრ მოკლებული გაზეთი უდროოდ შესწყდა და ბევრი „ნაკადის“ დაშრობაზე ხმა მაღლა მეტყველებდა გულღვარძლიანად.

რა ახარებდათ?

ნუ თუ ის, რომ თუგინდ მცირე ჯგუფს მოესპო საშუალება აზრის გამოთქმისა, მრწამსის გადაშლისა!

მერე რა არის ამაში სასიხარულო?

იმათვის, ვინც მხოლოდ თვის პარტიულ კაპიტალს შესჩერებია და დღეღამე, ხშირად უილაჯოდ, ძალა-უფლების მოპოებაზე ზრუნავს, არსებითიდ მიუღებელია ადამიანის აზრის სხვა და სხვაობა, მრავალფეროვანება, ცხოველმყოფლობა.

თქვენ არ ლოცულობთ ისე, როგორც ისინი?

მათის რწმენით თქვენ უფლება არა გაქვსთ საერთოდ სადმე ლოცულობდეთ. თქვენ არ აზროვნებთ ისე, როგორც ეს ახალი „პამპულები“?

თქვენ უფლება არა გაქვსთ საზოგადოდ დამოუკიდებელი აზროვნებისა.

თქვენ გრძნობთ ან განიცდით ცხოვრებას სხვა გვარად, ვიდრე ესენი?

თქვენ ღირსი ხართ ჯვარცმისი.

ისე მსჯელობს და აზროვნებს მეშჩანური მსოფლმხედველობა, ასე სჯის ჩანასახშივე ხავს მოკიდებული აზროვნება. მართლაც და სულით ხორცამდე „კარლიკ“ მწერლებისა.

ძველი კერპების ნანგრევებზე ბევრი ლამობს ახალი კერპების აღმართვას, მაგრამ ამაოდ.,.

ძველს ბარკალ აყრილი ადამიანის აზროვნება ნარდად და მკაფიოთ მეტყველებს:

ძირს ყოველგვარი, ძველი თუ ახალი, კერპი!

ზიზღი ყოველგვარ რუტინას და დახავსებულ შაბლონს!

მრავალი საყურადღებო საკითხი წარმოშვა ცხოვრებამ ამ ხნის განმავლობაში, მრავალ თვალსაჩინო მოვლენას ჰქონდა ადგილი და ჩვენ იძულებული ვიყავით დუმილით შევხვედროდეთ მათ. და მათ ეს ხდებოდა არა იმიტომ, რომ არა გვქონდა რა სათქმელი, არამედ იმ მიზეზით, რომ „ახალი ნაკადი“ უსახსრობის გამო შეჩერებული იყო ზოგიერთს მათგანს დღსაც არ დაუკარგავს თვისი მნიშვნელობა და შევცდებით ჩვენ პრინციპების მიხედვით მათ გარკვევასა და გაშუქებასა.

აი, უმთავრესად ამ საკითხებზე შევჩერდებით შემდეგ ჩვენს წერილებში და რასაკვირველია არ დავივიწყებთ საქართველოს მშრომელ ხალხის უწინდელ მდგომარეობას და ჩვენი ქვეყნის შინაურ ვითარებას... ცხადია ამას გარდა ჩვენ მოვალე ვიქნებით კვლავ დაეუბრუნდეთ ჩვენი მრწამსის პრინციპიალურ განხილვას.

ამ წერილში უმთავრესად მაინტერესებს ის შეკითხვები, რომელთაც სხვა და სხვა კუთხიდან მომმართავდენ ამხანაგები. ამ შეკითხვების უმთავრესი აზრი იყო: რად შეაჩერეთ გაზეთი, რად აღარ გვაწვდით ცნობებსო, გულდაკოდილნი და ღრმა მწუხარებით გვეკითხებოდენ პროვინციის ამხანაგები. და თითეულ მათგანის წერილი ეს იყო ამოსახილი წრფელი და ფაქიზი სულისა, რომელსაც უაღრესად სწადია წმინდა კელაპტარივით დაიწვას დიდი განთავისუფლების საკურთხევლის წინაშე, მაგრამ რომელსაც ხელმძღვანელ ამხანაგებისაგან ველარ მისწდომია სიტყვა მეტყველი, მართალი და მამახწევებელი.

ძვირფასო ამხანაგებო!

მიზეზი გაზეთის შეჩერებისა დღეიდან თქვენთვისაც ნათელი იქნება. თქვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოთ გაზეთის ნივთიერ და იდეურ მხარეს, რომ ამიერიდან მაინც არ შესწყდეს თქვენსა და ჩვენს შორის ცოცხალი და დაურღვეველი კავშირი.

აღადგინეთ ორგანიზაციები, გააჩაღეთ მუშაობა, ყველგან და ყოველთვის ილაღადეთ იმ ხალხს ჭეშმარიტებაზე, რომელიც ჩვენი მოძღვრების წიაღშია ჩასახული და ნუ შეუდრკებით პატარა გონებისა, პატარა სულისა და პატარა სინდისას ადამიანთა დაცინვას... დეე, შეასრულონ თავისი მოთხოვნილება... ვინც სიმართლე და ჭეშმარიტება ყველაზე მეტად შეიყვარა, მათ ყოველივე ეს ვერ შაკრთობთ და ვერ შეაჩერებს.

სალამი თქვენ!

წარმატება თქვენს მუშაობას!

ანარბატისტი.

კვირეული

ჩვენი გაზეთი

ჩვენი გაზეთის გამოცემა ისევ განახლდა... ამხანაგებმა უკანასკნელი კაპეიკები გამოიღეს... თავისი სისხლითა და ოფლითა მოპოვებული კაპეიკები. ჩვენი გაზეთი სწორედ ამ კაპეიკებით იცოცხლებს. სწორედ ამ გროშებით უნდა იარსებოს ჩვენმა გაზეთმა, მუშათა კლასს სწორედ ეს უყვარს და ამიტომაც არის ჩვენი გაზეთი მუშებისა და გლეხების პირიმშო შვილი... დამოუკიდებელი მუშათა მოძრაობის ხანა დგება მწიფდება... ჩვენ უნდა გვყავდეს საღად, ჭეშმარიტად მოაზროვნე მუშა-მწერლები, სწორედ ისინი, რომელთაც ადგილად ვერ ჩასწიხლავენ ხელის უფალნი წვრილ ბურჟუაზიულ ბანაკიდან...

მდგომარეობა მეტად მძიმეა, მუშათა კლასი გრძნობს ამას...

ჩვენი გამოსვლა აღლო იყო. ამ მდგომარეობის შეგნების მოლონიერება და წინსვლა განავითარებს პირველი თქმულებას! ვინც ჩვენთან არ წამოვა—იგი შეყვარებულია ბურჟუაზიის სახელმწიფოსადმი.

ჩვენ ახალ—სასახლეს ვაშენებთ, ახალს მუშების, სასახლე იგი მხოლოდ მუშათა მკლავებმა და გონებამ უნდა შექმნას და გამოკვეთოს!

თუ მუშათა კლასის განთავისუფლება ოცნება არაა. საკითხი ასე უნდა დავსვათ: თუ ჩვენვე არა მაშა, ვინ დაგვიხსნის??!

მგლოვიარე სამშობლო!

ჩვენი მწუხარებისა და ბედნიერების დარაჯი, ჩვენი ბედისა და უბედობის მოხუცი ჯავშიანი—გორიო ციხე დაეცა...

ქართლის სევდა საქართველოს სევდაა, ქართლი ხომ გულია ჩვენი მამულისა?!

და თუ გორმა თვალები დახუჭა—ხომ მკერდზე ხელებ დაყრილი უნდა შეჩერდეს საქართველო...

გორი უნდა აღსდგეს! გორმა უნდა იცოცხლოს! ამაში თვით საქართველოს სიმაგრეც...

რა ვუყოთ თუ ჭირნანახმა საქართველომ მძიმედ ამოიგმინა...

და ვისთვისა ძვირფასია საქართველოს წყლულის განკურნება, მათ უნდა სათანადო დოსტაქრებსაც მოუხმონ...

მუშათა კლასმა—დამსხვრეულ ქოხებს, და ასობით დახოცილ ძმებს პირველ ყოველისა უნდა სცენ ეგ ნუგეში და იმედი...

ისე როგორც მომავლის სიყვარული და მეგობრობა, ისე როგორც სასოება და იმედი არ წაგვიშლია საქართველოს მკერდიდან და გავიმარჯვეთ, სწორედ დღესაც თუ ძვირფასია სიყვარული, სათნოება და თავისუფლება, ჩვენი, მამულისა და ერისადმი, ჩვენც მოგიწოდებთ მუშებო და გლეხებო: ქართლს მიაწოდეთ ყოველივე, ქართლი დაჭრილია, ქართლი საბრალოა და უშველეთ ქართლს!

პროფესიონალური კავშირი!

ყველა საკითხთა შორის მთავარი საყურადღებო მუშათა კლასისთვის მხოლოდ ეს ორგანიზაციაა...

ვისაც გულწრფელად სწამს, რომ მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეა, იგი სწორედ აქ, ამ ორგანიზაციაში უნდა შავიდეს და მუშათა კლასს გვერდში ამოუდგეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ჩვენში მეტად მკრთალია მოქმედება პროფესიონალურ კავშირებისა ეს იმიტომ, რომ ბრძოლის უმთავრესი შინაარსი გადატანილია სხვაგან, სადღაც მისი გარეშე, ხოლო მუშებში პროფესიონალური მოღვაწენი ან არ არიან ან თუ არიან, მეტად უდღეური დამცველნი თავიანთი კლასობრივი „მე“ ობისა! და ამაშია ჩვენი სისუსტე!

მუშებს პროფესიონალური კავშირები სხვათა შორისად მიაჩნიათ, მუშები თვითონვე არ გრძნობენ მის სიდიადეს და საჭიროებას და ამიტომაცაა მისი ხმა ასე უბადრუკი და უსუსური. მაშინ როდესაც მისი მოქმედება შეიძლება უფრო ძლიერი უფრო მედგარი იქნეს, მისი ხმა ასე არ ისმის... მხოლოდ ბიბლიოთეკების გახსნა როდი ადიადებს მის შინაარს. არა, პროფესიონალური კავშირები უფრო ძლიერ შემოქმედებით უნდა იყვნენ აღშურვილნი და მუშაა კლასი სწორედ მისი საშვალეაით უნდა ეზიაროს მის კლასობრივ ინტერესებთა გაძღოლას და გაძლიერებას!

ეს ორგანიზაციები უნდა უდგენ დარაჯად მუშათა კლასის ყოველგვარ ინტერესებს და საჭირო დროს მისი ძლიერერების ქვეშ უნდა შეაფაროს, მუშათა კლასმა...

დღეს ხომ ნათელია, რომ დღევანდელი პროფესიონალური კავშირები მხოლოდ პოლიტიკურ პარტიების გულის ნადებს ამყლავნებს და აკანონებს და ამ გვარად იგი სრულიად კარგავს თავის ნამდვილ სახეს, კლასობრივ წინააღმდეგობათა გაღვიძებისას ხშირად ის რასაც პოლიტიკური პარტია სწყვეტს, კანონია პროფესიონალურ კავშირთათვის და უკანასკნელიც „ყურმოჭრილ ყმასავით თვის კერპს ემსახურება“...

ჯერ-ჯერობით მცირე გამოკლების გარდა პროფესიონალურ კავშირს ერთი კლასობრივ ინტერესებიან, და მისგან გამომდინარე ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს. მას ყოველთვის აყენებენ ამა თუ იმ ფაქტის წინაშე და იგი მცირე ყოყმანის შემდეგ მოვლენას აკანონებს, ზოგ ადგილას „შეთანხმების“ ტრფიალით გატაცებული პროფ. ორგანიზაცია ადმინისტრაციის წინ უსწრებს და მუშებს თუ მოსამსახურეებს ადგილებიდან ერეკება იყო შემთხვევა როცა თვით პროფ. ორგანიზაციის წევრებიც კი გადაიყვანა და ადგილობრივ მოქმედებას მოაშორეს, ასე გასინჯეთ ადმინისტრაცია კი მოითხოვდა „პატიებას“ რა არის ეს?

ყველაფერს თავი დავინებით. ეხლა მეტად მწვავედ წამოჭრულია მუშა მოსამსახურეთა გაერთიანების საკითხი. და ეს საკითხი ისე გართულდა რომ, სოც. დემოკრატიამ გზაც კი ვერ გამონახა თავის დასახწევი...

ათასობით წვრილ მოსამსახურეებს კოლექტიურ ხელ შეკრულების გარეშე უპირებენ დატოვებას.

და მოეხსენება კი მმართველ პარტიას რას ნიშნავს ეს? აქ გვაგონდება ქართული ანდაზა „მაძღარს მშიერიც მაძღარი ეგონაო“!

ცხადია „ვერხები“ გაძღენ და ყველანი მაძღარნი გონიათ ასე გასინჯეთ მშიერ მწყურვალნი წვრილი მოხელენი ამიერიდან თუ მათი კანონი განხორციელდა ადმინისტრატიის ამარა იქნებიან გამოგდებულნი,

პირველ ბიუროკრატს ამ კანონით უფლება მიეცემა თავის კაბინეტის კარებშივე დაახრჩოს წვრილი მოხელე, ის მოხელე რომლის ჯამაგირი ორიდან სამი ათას მანეთს არ აღემატება.

უკანა კარები გაიღებიან...

ამუშავდება ლამაზ ბანოვანთა პროტექცია და ჩვენ ძქლიან ახალს მიუახლოვდეაით ძველ დროთა საშინელებას!

ამიერშიაც, თავისთვისაც ძვირფასია იმ ღატაკ და მშიერ მწყურვალ მოსამსახურეთა სვებედი, უნდა გადაჭრით დასვას ეგ საკითხი და არც ერთი ნაბიჯი უკან არ გადადგას ამას მოითხოვს დრო და გარემოება...

რას ამბობს კავშირთა კავშირი?

იქაურ მოღვაწეებს „ვერხები“ აშინებენ „სინდიკალიზმის“ აჩრდილით, მოსამსახურეთა კოლექტიურ ხელშეკრულება შეტანას ხომ სინდიკალისტები მოითხოვენო! მაგრამ გულწრფელი მოღვაწენი ვერ ურიგდებიან მაინც „მასწავლებელთა“ გულის ნადებს და ერთი ორად პიროვნებას, როგორიცაა „ყოველი მოსამსახურე და ბ. შ. აბდუშელიშვილი მოითხოვენ, საკითხი სწორედ სინდიკოლისტურად გადაჭრას სოც. დემოკრატიულმა ფრაქციამ; უარყო რა ვუყოთ რომ სინდიკალისტები ასე იქცევიან ეუბნება „ერთობას“. ყოფილი მოსამსახურე რატომ არ იქნება დაუშვათ, **რომ ზოგი მოქმედება სინდიკალისტებისა მართალი და მიზან შეწონილი იყოს?!** (იხ. „მუშ. ცხ.“ № 3.) ბ. აბდუშელიშვილი უფრო მკაფიოდ უმტკიცებს ამხანაგებს თუ რა ბედი ეწვევა მოსამსახურეებს და სხვა.

ყოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ სინდიკალისტური სტიქია შეიქრა თვით კავშირთა კავშირში, **მეტი სიფხიზლე მეტი უნარი! მეტი სიმტკიცე და მეტი ენერგია.** ვინც ასე არ ფიქრობს, იგი კიდევ დიდხანს იყურყუმლავებს პოლიტიკურ პარტიათა „რეჩების“ ოკეანებში...

სატარიფო პალატა!

პროფესიონალურ ორგანიზაციათა სისუსტე სწორედ სატარიფო პალატის სიცოცხლეში უნდა ვეძიოთ...

შეთანხმება, მეგობრული კავშირი, თავმდაბლობა, ალერსი ბურჟუაზიასთან! მასთან კუდში დევნა. აი ესა რომელიც აირჩიეს!.. დასკვნა? ჯამაგირების მომატება, ცხოვრების სიძვირე, ბურჟუაზიის საბოტაჟი და სპეკულიაცია.... მოსამსახურე ვინ ზარალობს? მუშა, გლეხი დაწვრილი ვინ იგებს?? ბურჟუა, სპეკულიანტები, ჩარჩი! აი ორიმიმდინარეობა.— სატარიფო პალატა მუშებს და მოსამსახურეებს ჯამაგირებს მოუმატებს, მეორე მხრივ სპეკულიანტები ფასებს სწევენ, ზღაპრული სიძვირე მატულობს და მუშათა კლასის ახალ უბედურების ბრჭყალები ვარდება.

ეს მოვლენა თითქოს განგებით დაუკავშირდა სატარიფო პალატის მტკიცე ფასები მუშებისთვის, სიმაგიეროდ არარსებობს არავითარი კონტროლი სპეკულიანტების მიერ ფასების აწევის წინააღმდეგ.... და ამიტომაც მუშები თუ ცდილობენ თავის დაღწევას, სპეკულიანტებიც უფრო მაგრად უჭერენ მარეყუჭს?

სატარიფო პალატა ერთგვარ სიგნალად გადაიქცა ფასების აწევისა, როდესაც იგი წინააღმდეგ იყო მოწოდებული.

მუშათა კლასმა ამიტომაც უფრო სხვა გზა უნდა აირჩიოს და თავი გაინთავისუფლოს ამ არა მკითხე პატრონისგან...

(შემდეგი იქნება)

ს. კოლხიდელი

სინდიკალიზმის საფუძველი.

(გაგრძელება)

შრომის ბირჟები ახდენს ერთმანეთს შორის ფედერაციას ჯერ ნაციონალურს და მერე ინტერნაციონალურს ამით მათ შეძლება ეძლევათ შეაგროვონ ზედმიწევნითი ცნობები და შეადინონ საზოგადო სტატისტიკა კულტურულ ყველა ქვეყნების პროლეტართა წარმოების და მოხმარებისა. ამ რიგად გამოირკვევა ამა თუ იმ ქვეყანას რა უჭირს ან რა პროდუქტი აქვს ზედმეტი. „მაშასადამე“ დაასკვნიან მომხსენებლები, ცალცალკე ქვეყნეის, ნაციების და ოლქების შორის ხდება ბუნებრივ საფუძველზედ პროდუქტთა გაცვლა გამოცვლა, ე. ი. თითეული მხარე ანუ ოლქი მისცემს მეორეს მარტო ზედმეტს პროდუქტს და ნაცვლად მიიღებს მისთვის საჭირო პროდუქტებს...

თავის მხრივ ფედერალური კომიტეტიც ამ დასკვნიმდე მივიდა: „ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ მომავალი საზოგადოება, ნათქვამია ფედერალურ კომიტეტის მოხსენებაში, სხვაფრივ თუ არა როგორც შედგენილი თავისუფალ და ნებაყოფლობით მწარმოებელთა სინდიკატებისგან. შრომის ბირჟები ახალი საზოგადოებრივი წყობილებისთვის მოემზადნენ, შიასწავლონ თავიანთ ადგილებში რა ბუნებრივი სიმდიდრენია და დაახლოვებით იცოდნენ მცხოვრებთა მოთხოვნილებაც. შრომის ბირჟები უნდა გადაიქცნენ პროპაგანდის შვილებათ, დაწესებულებად საზოგადოებრივი გამგეობით, რითაც იგინი მოსპობენ და შესცვლიან ჩვენი დროის საზოგადოებრივ ორგანიზაციას“ ამრიგად ტურის კონგრესმა აღიარა რომ სინდიკატები უნდა გადიქცნენ იმ ძირთად უჯრედებად რომლებიც შეჰქმნიან საზოგადოების მომავალ ორგანიზმს. სინდიკატი არის პროტოტიპი სოციალისტური საზოგადოებისა.

ამავე დროს, მოქმედობდა ტურის ბირჟათა კონგრესი, გაიხსნა მეორე კონგრესი კონფედერაციისა ამ კონგრესმა ხელახლა აღიარა თვისი უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკასთან. პოლიტიკურმა კითხვებმა, პარტიათა ეოთმანეთში ქიშპობამ დააქოცმაცეს ძალები და გააადიდეს უთანხმოება მუშათა შორის. ვერც ერთმი მუშათა კონგრესმა ვერ გააერთიანა კორპორატიული ძალები, იმიტომ რომ მათში გაერიენენ პოლიტიკოსები და მოისურვეს ესარგებლათ მათი თავის მიზნებისთვის, რითაც შეჰქონდათ მუშებში ქიშპობა და მტრობა კონფედერაციის კონგრესმა მიუწოდა პროლეტარულ ძალებს გამოესწორებინათ, სამწუხარო შეცდომები და მოეგონებინათ მშრომელთა ქვეყნისთვის, რომ პოლიტიკა დამღუპველია სინდიკატებისთვის და თუ სურსთ მათ შრომის კონფედერაციის გარშემო გააერთიანონ პროლეტარების მრავალრიცხოვანი რაზმი უპირველეს ყოვლისა მათ უნდა გასდევნონ თავიანთ შორიდან პოლიტიკა?—მიზეზი ქიშპობისა და დაყოფისა. ამ მოსაზრებითაც კონგრესმა მიიღო დადგენილება, სადაც გამოსთქვა სურვილი რომ ყველა კორპერატიულ ორგანიზაციები დარჩნენ ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიათა გარეშე.

მას შემდეგ რაც ყველა სინდიკალური ორგანიზაციები შეერთდნენ შრომის საზოგადო კონფედერაციაში, მუშათა მოძრაობამ საფრანგეთში ერთგვარი სახე მიიღო და ჩქარის პროგრესიით იზრდება. მუშათა კლასის გაერთიანებას მოჰყვა გაერთიანებული მოქმედება და პროლეტარიატიც მოგერიებითი ტაკტიკიდან გადავიდა შეტევითი ტაქტიკაზე, რითაც ანხორციელებდა ზოგიერთ თვის მოთხოვნილებებს,

ასეთ თანდათანობრივ მოძრაობაში ფრანგულ. პროლეტარიატის კლასიური შეგნება უმაღლეს წერტილამდე აღწევს ჩამოყალიბდება ახალს, დამოუკიდებელს მოძღვრებაში—რევოლიუციონურ სინდიკალიზმის თეორიაში რომელიც არსებითად განსხვავდება ყოველგვარ სოციალისტურ დოქტრინებისგან.

როგორი არის რევოლიუციონურ სინდიკალიზმის თეორია?

(შემდეგი იქნება

როლანდი.

ჩვენი კავშირის საბჭოს კრება.

აპრილის შუა რიცხვებში ქ. ქუთაისში შესდგება ჩვენი კავშირის საბჭოს კრება.

კრების საგანია: განხილვა მოხსენებისა „მომენტსა და ტაკტიკა“-ზე დაწვრილებით შემდეგ ნომერში.

შენიშვნები

I.

რამოდენიმე ხანია, რაც—ჩვენი კავშირის ორგანო გაზ. „ახალი ნაკადი“ შეჩერებული იყო და არ გვქონდა საშვალება სხვა და სხვა ტეხნიკურ დაბრკოლების გამო გამოგვეცა და ჩვენი აზრი და მიმართულება მკითხველ საზოგადოებისათვის გაგვეცნო. დღეს კავშირმა განიძრახა განაგრძელოს გამოცემა ჩვენი გაზეთისა და შეძლების დაგვარად. გააშუქოს ის საკითხები, რომელიც წამოჭრილა როგორც ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის წინაშე ისე მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე. ეს არის შრომის განთავისუფლება ბურჟუაზიის კლანჭებისაგან და ეკონომიური გათანასწორება. ამ იდეას ჩვენში სხვადა სხვა პოლიტიკური პარტიები ემსახურებიან პრინციპი ზემოთ მოყვანილ აზრის ყველას სწამს, მხოლოთ განხორციელება და ცხოვრებაში გატარება მათ სხვანაირად ეს. მით ჩვენი რევოლიუციონურ სინდიკალისტების გზა კი ამ შემთხვევაში ძლიერ განირჩევა მათგან ჩხენი გაზეთის თანამშრომლები ეცლიან ანთლად გაარკვიონ ჩვენ და პოლიტიკურ პარტიების შორის განსხვავება, თუ როგორია გზა სოციალიზმისაკენ და რა საშვალებით შეუძლია პროლეტარიატს განხორციელება იმ დიდ იდეისა.

ჩვენს წინაშე არის კიდევ დღიური საკითხები, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ჩვენი კავშირი, რომლითაც დაინტერესებულია მშრომელი ხალხი, ეს არის პროფესიანალურ კავშირები, სატარიფო პალატა რომლებიც გამოდიან დღეს ჩვენში მუშების ინტერესების დამცველად. ამათ მოქმედებას და მოღვაწეობას მიაქცევს ჩვენი ორგანო ყურადღებას. დღეს ამ შენიშვნებში ამაზედ არის ვიტყვით, არის საკითხი ჩვენს წინაშე წამოჭრილი რომელსაც გვერდს ვერაუვლით ეს ის არის ჩვენი ქვეყნის საზღვრები მეზობელ ხალხთა დამოკიდებულება, ჩვენ სახელმწიფოს თვალსაზრით არ უყურებთ ამ საკითხს, მაგრამ ვერც თვალებს დავხუჭავთ იმის წინაშე, რაც ჩვენში ხდება ეხლა, განსაკუთრებით. ბათომის გარშემო. ჩვენი კავშირის მიზანი და იდეა არის შეკავშირება მთელი.

მშრომელ ხალხის, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთნოდეს იგი და კეთილი განწყობილება მათან, მაგრამ თუ რომელიმე ამის დარღვევას მოისურვებს მას თვალებში ვერ ვაკოცებთ, მტერს მტრულად შეხვდებით. ჩვენ, საქარ. დეპ. საგენტომ გადმოქვცა ის შეთქმულება რომელიც ბოლშევიკებსა და ახალ გაზდა ოსმალებსა აქვთ ჩვენს წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ საშვალება მიზანს ამართლებსო. მაშინ ნურას უკაცროვოდ თუ ჩვენც ამოღებულ ხმალს ხმალი მოვაგებოთ და თვალები არ დავიჭრაოთ ასეთ ფაქტების წინაშე.

როდემდის არსებობს ერის საზღვრები, ჩვენც ვერ მოვშლით მას და ვიქნებით მისი დარაჯი, რადგან ამას მოითხოვს არა მარტო სხაელმწიფოს ინტერესები არამედ მშრომელი ხალხის ინტერესი, და ამიტომ ჩვენც მის დარაჯი ვიქნებით არავის არ მივცემთ ნებას შეარღებული ძალით დავამორჩილებთო თავი. განსაკუთრებულათ დღეს ბათომზე მოაქვთ იერიშები. ჩვენ არ გაგვიკვირდება ეს, რომ მარტო კონტრ-რევოლიუციონურ ძალები და იმპერიალისტები ჩადიოდენ ამ საქმეს. ჩვენ გვაკვირვებს ბოლშევიკების საქციელი ამ შემთხვევაში, და არ ვიცი რა უწოდო მათ მოქმედებას.

რაც შეეხება ჩვენი მთავრობის მოკავშირე ადერბეიჯანს, მისი აზრი ამ შემთხვევაში გამორკვეულია. ეს შეხედულება ჯერ 15 და 16 წლებში გამოირკვა როდესაც ჩვენ ქართველებიჭ ძმურ ჭდახმარება უწევდით აჭარლებს, ბაქოელი თათრების ფიზიანომია მაშინ იყო გამორკვეული ჩვენთვის და ეხლა ეს არ გვაღელვებს, რადგან ვიცოდით მათი პოლიტიკა, და ადერბეიჯანულ დიპლომატია;

ბათომი ეს ევროპის ჭიშკარია, რაც ძლიერ ჭირდება ჩვენ მშრომელ ხალხს და იგი არავის მისცემს მუქარით და ძალით მიითვისოს ჩყენი ქვეყნის განუყოელი ნაწილი, სხვას თუ ნავთის ქვაბები აკავშირებს ბათომთან, ჩვენ სული და გული და სისხლი ვიტყოდით ამას თამამად...

იონა ბ.

სამწუხარო მოვლენა!

ქართლის მტოკავი ძარღვები და ამოძრავებული გული მოწყდა თავის სხეულს...

ის ამ ჟამად არ არის თავის ერთხარისხოვან ძარღვთა რიცხვში ჩაწერილი.—

ის იქიდან დროებით ამოიშალა...

ეს არის ჩვენი ქ. გორი!

ბოროტმა ხელმა გაუსვა მას შავი ამოუშლელი ხაზი...—

მაგრამ წაშლილის ხელ-ახლად უფრო მშვენიერი და ლამაზი ოქროს ასოებით შეიძლება ჩაწერა..

დღეს გორს თავს დაჰქვითანებს თავის დედა ქართლი.

ის ტირის ღვრის ცრემლებს...

ის იწვევს თავის მეზობლებს და რადგან ცხედარს დასამარხათ ვერ იმეტებს, სთხოვს: ერთად შეეევედრონ ზეციერ და მიწის უფალს, და მან ეგებ ის მკვდრეთით გაუცოცხლოს...

და ვხედავთ, მთელი მხარე შეინძრა, შეიგრიალა.

მათ თან მიაქვთ კეთილი სურვილი, ბედნიერება, ფული, ხორაგი და მძლავრი მკლავები...

და ჩვენც აქ არ უნდა დავრჩეთ მხოლოდ მომზერალად, ცრემლთა მღვრელად.

სუყველანი, როგორც ერთი საჭიროა შეევერთდეთ და დავეხმაროთ ზნეობრივ და ნივთიერის მხრივ ბუნების მიერ დაჩაგრულ და აწეწ-დაწეწილ ხალხს.

საჭიროა აუცილებლად: მთელი საქართველოს, როგორც სახაზინო აგრეთვე კერძო დაწესებულებათა მოსამსახურეებმა გადასდონ თვისი წვლილი ქ. გორში დაზარალებულ მცხოვრებთა დასახმარებლად...*)

მოეწყოს საქართველოს ყოველ ქალაქებში, დაბებში და სოფლებში „გორის“ დღე—“ები და ამ წესით შემოსული თანხა მოხმარდეს მიწის ძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად...

ამ რიგად ჩვენ მოვიხსნით ჩვენს მოქალაქეობრივ და წმინდა ვალს ჩვენი ძმებს წინაშე.

ნათქვამია: „ძმა ძმისთვის შეიქმნების თვისაო“; [illegible] ცეთ!—

ხუნწელი.

რედაქციისაგან.

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჩვენი გაზეთი გამოდის მხოლოდ ორი გვერდი, ამიტომ მორიგი მასალა უკვე აწყობილი ამ ნომერში ვეღარ მოვათავსეთ. შემდეგ ნომერში ვეცდებით გადავლახოთ ეს დაბრკოლებანი,

რედაქცია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ

ჩვენი კავშირის საერთო კრება. ყოველ კვირას კავშირის ბინაზე, (ელისაბედის ქუჩა № 139) საღამოს ექვს საათზე ხდება კავშირის საერთო კრება, რომელზედაც დასწრება ამხანაგებისთვის სავალდებულოა.

ფოცხოველების შუამდგომლობა. მთავრობასა და დამფუძნებელ კრების ფოცხოვის რაიონის სოფლების რწმუნებულს თაგან შუამდგომლობის დეპეშა მოუვიდა სადაც აღწერილია რაიონის მცხოვრებთა აუტანელი მდგომარეობა, უსურსათობის მხრივ. და აღძრულია შუამდგომლობა, რომ მთავრობამ სასწრაფო ზომები მიიღოს და ფოცხველებს დაეხმაროს სურსათით.

ბრიტანეიის მთავრობის და უორდროპის შეწირულება. გორში მომხდარ მიწის ძვრის გამო ღრმა მწუხარებასგამოსთქვამს ბრიტანეთის მთავრობა დაზარალებულ მცხოვრებთ 1000 გირვანქა სტერლინგს სწირავს. ხოლო პირადად უორდროპი 50 გირვანქა სტერლინგის ჩეკს.

„კრონოსის სარკე“ ამ უკანასკნელ ხანებში გაძოდის ახალგაზდა პოეტთა ერთი ჯგუფის სამხატვრო ჟურნალი „კრონოსის სარკის მესამე ნომერი მონაწილეობენ: ტერენტუს გრანელი, კონნე სპერელი, რაუდ გოგოხია ს. ერთაწმინდელი-გ. ბრონ შტეინი, ჰერაუოს ყანჩელი, აკ. ბერეკაშვილი, არჩილ მაჭავარიანი, დემნა, და დ. შენგელაია.

1200,000 მ. **გამტაცებელთა აღმოჩენა,** მარტის 9 სიქართველოს სამხედრო გზაზე გაძარცვას ფასანაურში მომავალი, გზატკეცილების უფროსი ინჟინერი ჩხეიძე რომელსაც წაართვეს 1200,000 მანეთი. მაგრამ ზომების მიღების მიმღებ აღმოაჩინეს ვინმე ზუკაკაშვილის სახლში გატაცებული ფულის ნაწილი. და შეიპყრეს თითქმის ყველა ბოროტ მოქმედნი.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ.

კვირას 21 მარტს. საღამოს 7 საათზე კავშირის ბინაზე (ელისაბედის ქუჩ. №139 დანიშნულია რევ. სინდიკალისტების, მაშვრალთა კავშირის საერთო კრება.

კრებაზე მოხსენებას გააკეთებს თანამედროვე მომენტზე ალ. წერეთელი, ქელბაქიანი, ს. იისელიანი ი. ბაქრაძე ⁄ სხვა ამხანაგები. მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი, დასწრება შეუძლიათ თანაგრძნოგებსაც.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

ი. შანავას. (წალენჯიხაში). მივიღეთ შენი წერილი. ყველაფერს გაცნობებთ. **ალ. ბარამიძეს.** (ხაშურში) ვეცდებით თქვენი თხოვნა საჩქაროდ შევასრულოთ და პასუხს წერილობით გაცნობებთ.

რედაქტორ-გამომცემელი

კოლეგია

ს. ერთაწმინდელი

1910 წ.

ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲠᲬᲘᲕᲘ

დაიბეჭდა და იყიდება ყველგან

წიგნი მე-12-ე

1920 წ.

*) რაც უკვე მოხდა რედაქცია